

ა.ა.ი.პ „საქართველოს რაგბის კავშირი“-ს
სადისციპლინო კომისიის სხდომის ოქმი № 53

ქ.თბილისი

2016 წლის 26 ოქტომბერი

სადისციპლინო კომისიის სხდომა ჩატარდა 2016 წლის 26 ოქტომბერს ა.ა.ი.პ. „საქართველოს რაგბის კავშირი“-ს ოფისში, მდებარე ქ. თბილისი, ჭავჭავაძის გამზ. №49ა.

სადისციპლინო კომისიის სხდომა მოწვეულ იქნა კომისიის თავმჯდომარის დავალებით, სადისციპლინო კომისიის წევრებისთვის შეტყობინებისა და დღის წესრიგის გაგზავნის გზით.

სხდომას ესწრებოდა კომისიის 8 წევრიდან 4 წევრი. სრკ-ს სადისციპლინო კოდექსის მე-5 მუხლის 5.11. პუნქტის თანახმად, სხდომა გამოცხადდა გადაწყვეტილებაუნარიანად, ამის გამო არცერთ დამსწრე წევრს პრეტენზია არ გამოუთქვამს.

სხდომაზე დამსწრე კომისიის წევრები: მირიან თავზარაშვილი, ედუარდ ნაჭყებია, ვახტანგ სამხარაძე, ირაკლი ჩიქავა.

სხდომას უძღვებოდა კომისიის თავმჯდომარე, მირიან თავზარაშვილი.

სადისციპლინო კომისიამ ზემოაღნიშნული შემადგენლობით, განიხილა სრკ საშეჯიბრო კომიტეტის თავმჯდომარის ნ. მამრიკიშვილის მომართვა და მატჩის მეთვალყურის გ. ჭიჭინაძის ოქმი, ამა წლის 23 ოქტომბერს, „დიდი 10“-ის ლიგის კალენდარულ მატჩზე ქუთაისის „აია“-სა და თბ „არმია“-ს შორის, მომხდარი ფაქტის შესახებ

გ ა მ ო ა რ კ ვ ი ა :

კლუბ ქუთაისის „აია“-ს მორაგბემ გიორგი როხვაძემ, სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენა მატჩის მთავარ მსაჯს. რაც ხელმოწერით დაფიქსირებულია თამაშის ოქმში, მატჩის ოფიციალური პირების მიერ.

სრკ სადისციპლინო კომისიამ იხელმძღვანელა სრკ სადისციპლინო კოდექსის 2.2.2 პუნქტით და ერთხმად მიიღო შემდეგი

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

1. კლუბ ქუთაისის „აია“-ს მორაგბე გიორგი როხვაძე დისკვალიფიცირებული იქნას 10(ათი) სათამაშო კვირით, ხოლო კლუბი დაჯარიმდეს 1000 (ათასი) ლარით.
2. საჯარო თანხის გადახდის ვადა განისაზღვროს 2016 წლის 26 ნოემბრამდე.
3. საჯარო თანხის მითითებულ ვადაში გადაუხდელობის შემთხვევაში, კლუბ ქუთაისის „აია“-ს მიმართ ამოქმედდება სრკ-ს სადისციპლინო კოდექსის 3.3 პუნქტი.

სრკ სადისციპლინო კომისიის თავმჯდომარე



/მ.თავზარაშვილი/